

მუდმივმოქმედ არბიტრაჟს
შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“	
თარიღი	14 დეკემბერი 2015წწ
საქმის №	715-2015
დურს. რაოდენობა	17

მოსარჩელე: სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
სვის კაპიტალი“-ს
წარმომადგენლის ბექა შაყულაშვილის
მის: თბილისი, გამსახურდიას გამზ.
№34/აღლ. ყაზბეგის გამზ. №2
ტელ: 577978801

მოპასუხე: ედუარდი ალხაზოვი
პირადი №01901121211
მცხ: თბილისი, ვ. მახალდიანის ქ. №1
ტელ: 551 15 90 24

საარბიტრაჟო სარჩელი

მოგახსენებთ, რომ 2015 წლის 31 ივლისს ერთი მხრივ, სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-სა და მეორეს მხრივ, ედუარდი ალხაზოვის შორის გაფორმდა №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-მ მსესხებელზე გასცა 250 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

სესხი პროცენტიანია. ყოველთვიურად გადასახდელი საპროცენტო სარგებლისა და ძირითადი თანხის ოდენობა შეადგენს 61.92 აშშ დოლარს. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედებისა, ან სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა, სესხისა ან/და სარგებლის იძულებითი ან მსესხებლის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე.

ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა. ისეთ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დააგვიანებს ან არ გადაიხდის სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში სესხის ძირითად თანხას და/ან დარიცხულ პროცენტს გამსესხებელი უფლებამოსილია დაარიცხოს პირგასამტეხლო სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის 0.3 პროცენტი ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით ნაკისრი და გადახდის გრაფიკით დადგენილი გადასახდელების გადახდის ვალდებულებისაგან. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 10 (ათი) დღის ვადით გადააცილებს ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის რომელიმე ეტაპის შესრულებას გამსესხებელი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება სესხის ნაწილში, რა დროსაც მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამსესხებლის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა უზრუნველყოს

გამსესხებლისათვის სესხის დარჩენილი ნაწილის დაბრუნება. გამსესხებელი უფლებამოსილია დამატებით დააკისროს ხელშეკრულების 2.2.4 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

ხელშეკრულების პირობები დარღვეულად ჩაითვლება ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი დაფარვის გრაფიკით დადგენილ კრედიტის ძირითადი თანხის ნებისმიერ ნაწილს ან მასზე დარიცხულ პროცენტს, ან პირგასამტეხლოს და თუ ასეთი გადაუხდელობა გაგრძელდება 10 სამუშაო დღე ან/და ასეთი დარღვევა განმეორდება ზედიზედ ორჯერ. განსახილველ შემთხვევაში მსესხებელ ედუარდი ალხაზოვის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შესრულებულა, რამაც წარმოშვა საარბიტრაჟო სასამართლოში დავის დაწყების აუცილებლობა. ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, მათ შორის დავა გადაწყდება შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, რომლის საინდენტიფიკაციო კოდია 400120622.

ამდენად, გთხოვთ, გაიხილოთ საარბიტრაჟო სარჩელი და მოპასუხე ედუარდი ალხაზოვს სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს სასარგებლოდ გადასახდელად დააკისროთ:

1. სესხის ძირი თანხის – 250 აშშ დოლარის, მიუღებელი დარიცხული სარგებლის – 134,59 აშშ დოლარის, დარიცხული პირგასამტეხლოს – 74,66 აშშ დოლარის 2015 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით, ჯამში – 209.25 აშშ დოლარის გადახდა.
2. სესხზე დასარიცხი ყოველდღიური სარგებლის – 1,02 აშშ დოლარის გადახდა 2015 წლის 10 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.
3. სესხზე ყოველდღიურად დასარიცხი პირგასამტეხლოს – 0.75 აშშ დოლარის გადახდა 2015 წლის 10 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.
4. საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 180 ლარის გადახდა.

დანართი: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
მინდობილობა
სესხის ხელშეკრულება
გაფრთხილების წერილი
ცნობა დავალიანების შესახებ
ქვითარი



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15029393, 09/02/2015 13:51:20

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ
სამართლებრივი ფორმა:	სააქციო საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	205274273
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	05/03/2009
მარეგისტრირებული ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გამსახურდიას გამზ., №34/აღ.ყაზბეგის გამზ. №2

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდელი სამართლებრივი ფორმა	ოპერაცია	რეორგანიზაციის შემდგომი სამართლებრივი ფორმა	თარიღი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	გარდაქმნა	სააქციო საზოგადოება	10/11/2011

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის
მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- საერთო კრება
- სამეთვალყურეო საბჭო

წევრი: 01017001879, პაატა დაიაური

წევრი: 0-2405503-0, 10942883, , რონენ ბეჩორი, ისრაელი

წევრი: 0-2494586-7, 12085875, , ზოა რაპაპორტი, ისრაელი

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01017001879, პაატა დაიაური

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R14045888 02/12/2014 14:53:26
კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869
მესაკუთრე : სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ (საქართველო) 205274273
საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : არსებული და სამომავლო მოთხოვნები, მათ შორის სესხებიდან წარმოშობილი მოთხოვნები (იხ. სარეგისტრაციო დოკუმენტი)
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, CAP000079405, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, 141311690, 01.12.2014

მოვალეობა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობით სს მიკროსაფინანსო „სვის კაპიტალი“-ს (ს/კ 205274273) დირექტორი პაატა დაიაური (პ/ნ 010117001879) ვმოქმედებ რა საზოგადოების წესებით და უფლებას ვანიჭებ სს „მისო სვის კაპიტალი“-ს წარმომადგენელ ბექა შაყულაშვილს (პ/ნ 01005025548), ანა ასათიანს (პ/ნ 01015011317) და დოდო ქვარცხავას-ბეგორს (პ/ნ 01029013911), სოფიო ცხადაიას პ/ნ 42001015559 და ქრისტინე შელიას პ/ნ 19001086979 წარმომადგენელთა სს „მისო სვის კაპიტალი“-ს ინტერესები წარმომადგენლობითი ფუნქციების შესასრულებლად მათ ეძლევათ შემდეგი უფლებები:


დაიცვას მარწმუნებლის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები; ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, არბიტრაჟში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ორგანოებში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელწიფო, ასევე არასახელმწიფო ორგანოებთან და დაწესებულებებთან, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ან/და კერძო აღმასრულებელთან ურთიერთობაში;

აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება, აპლიკაცია ან/და სარჩელი, გადაიხადოს სახელწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერი ამ მასალებიდან, გადართოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მოწაწილობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, შეცვალოს სარჩელის საგანი ან/და საფუძველი, გადართოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, გასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, დაამთავროს საქმე მორიგებით, გადასცეს საქმე კერძო არბიტრაჟს, მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულება, გამოითხოვოს და ჩაიბაროს სააღსრულებო ფურცელი, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად აღსრულების ეროვნულ ან/და კერძო ბიუროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში შემავალ ნებისმიერ დაწესებულებაში, მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზინო სამსახურს სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადარიცხული თანხების უკან დაბრუნების მოთხოვნით, წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და შსს მომსახურების სააგენტოში, მარწმუნებული უფლებამოსილია ზემოაღნიშნულ მოქმედებათა განსახორციელებლად ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, შეასრულოს ყოველგვარი მოქმედება ზემოაღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებით.

რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება, რომელიც მხარეს აქვს მინიჭებული საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და სააღსრულებო წარმოება შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ამ რწმუნებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი, რწმუნებულს უფლება აქვს განახორციელოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის ჩამოთვლილი ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 2015 წლის 30 ნოემბერს განუსაზღვრელი ვადით;

სს „მისო სვის კაპიტალის“
დირექტორი




პაატა დაიაური



114. ამ დოკუმენტს, თუ შესაძლებელია, უნდა შევსოთ შემდეგი ინფორმაცია: (თუ არა, დატოვებულია ცარიელი)

2018-09-12 345630290018276133

[illegible]

0716-2201/13/280405-05\$09.00/0

3.7. შპს-ის აქტივების უმეტესობა დაფიქსირებულია მხოლოდ, რომლისთვისაც შევსებული ზღვრა ჩატარდა აღრიცხვების შესრულების დაფიქსირებულ ქრონოლოგიის მიხედვით მარტის მეტოპირების ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევა მარტის შესახებ აგრეთვე წარმოდგენის ამოღებამდელი პირების მიერ გაკეთდა ცნობა აღნიშნული შპს-ის აქტივების შესახებ (კერძო ან შემთხვევით, თუ ფორმალურად გარემოება საკუთრებად ცნობდა). ასეთ შემთხვევაში, მარტის, რომელიც აქმაფის ფორმალური გარემოების დაფიქსირების დაფიქსირებული მართლმართლობის მიქმედების კლასი გაფრთხილება კლასი ან ვალდებულებების შესრულებისთვის, რომელიც ზღვრა შევსდა და შეავსდა ფორმალურად გარემოების და იგი ან გათვალისწინებულია შევსებულია დაფიქსირებული ნებისთვის სხვა ვალდებულებების შესრულებისთვის, რომელიც ზღვრა ან უკიდურეს ფორმალური გარემოება დაფიქსირებულია ნებისთვის სხვა ვალდებულებების შესრულებისთვის, რომელიც ზღვრა ან უკიდურეს ფორმალური გარემოება

[illegible]

3206270 14. 1635 320678330

41. ရင်းနှီးမြှုပ်နှံမှု (Investment) နှင့် အခြေခံ (Infrastructure) ကို ဖွံ့ဖြိုးတိုးတက်စေရန် အားပေးမှုများ ပြုလုပ်ရန် လိုအပ်ပါသည်။

14.2. Կանխդրվող ծեփերի և/կամ խմորների համախառն քանակը համապատասխանում է ընդունված համախառն քանակի ցուցանիշին:

[illegible]

ISSN 0013-788X/95/0005-0000\$05.00/0

21,216,1923

[illegible]

0022-0740/92/5255-0000\$05.00/0



!



Swiss Capital

Pekini 34, Tbilisi, Georgia

Tel. (995 32) 2 300 300

Date: 31/07/2015

ედუარდი ალბაზოვი
მახალდიანის #1
თბილისი

Account Number Consumer loan 100 - 510
Loan Amount USD250.00
Disbursed USD250.00
Issue Date 31-07-2015
Payment Frequency Monthly

Interest Rate
Loan Term 6 Month

Loan Repayment Schedule

Page 1 of

Number	Repayment Date	Total Repayment	Fee	Interest	Loan	Balance	Saving
1	31-08-2015	61.92	0.00	31.85	30.07	219.93	0.0
2	30-09-2015	61.92	0.00	27.11	34.81	185.12	0.0
3	02-11-2015	61.92	0.00	25.11	36.81	148.31	0.0
4	30-11-2015	61.92	0.00	17.07	44.85	103.46	0.0
5	31-12-2015	61.92	0.00	13.18	48.74	54.72	0.0
Year 2015 Totals:		309.60	0.00	114.32	195.28		0.0
6	01-02-2016	61.92	0.00	7.20	54.72	0.00	0.0
Year 2016 Totals:		61.92	0.00	7.20	54.72		0.0
USD		371.52	0.00	121.52	250.00		0.0

End of Repoi



1897/2015

09/12/2015

ცნობა

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი", გაცნობებთ, რომ ედუარდ ალხაზოვთან (პ.ნ №01901121211) 2015 წლის 31 ივლისს გაფორმდა სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება CONS/P/235, დამოწმების თარიღი: 31/07/2015.

ედუარდ ალხაზოვთან 31/07/2015-ში გაფორმებულ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებაზე არსებული დავალიანება 2015 წლის 09 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს: ძირი - 250 აშშ დოლარს, სარგებელი - 134,59 აშშ დოლარს, პირგასამტეხლო - 74,66 აშშ დოლარს (2015 წლის 09 დეკემბრის ჩათვლით დარიცხული), ამასთან 2015 წლის 10 დეკემბრიდან ყოველდღიურად დასარიცხი სარგებელი შეადგენს 1,02 აშშ დოლარს, ხოლო პირგასამტეხლო 0,75 აშშ დოლარს.

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი"-ი, ს/ნ 205274273
მისამართი: გამრეკელის ქ.19/43 0160, ქ.თბილისი
სს "ბაზისბანკი" ანგარიშის ნომერი:
GE06 BS00 0000 0030 836840

სესხის კოორდინატორი
მარი ფირფირაშვილი



Swiss Capital

Pekini 34, Tbilisi, Georgia

Tel. (995 32) 2 300 300

ედუარდი ალბაზოვი
მხალდიანის #1
თბილისი

Statement Date: 09-Dec-15

Statement

Account: 002-042384 - Consumer loan 100 - 510

USD250.00 Issued On 31-Jul-15 at USD61.92 Monthly

Receipt No.	Value Date	Description	Debit	Credit	Interest Bal	Balance
		Balance Forward			USD	0.00
845661	31-Jul-2015	Loan Issue	250.00	0.00	0.00	250.00
859788	31-Aug-2015	Loan Settlement - Interest Charged	31.85	0.00	31.85	250.00
859788	To: 002-042384, From: 002-042382					
884911	30-Sep-2015	Loan Settlement - Interest Charged	30.82	0.00	62.67	250.00
884911	30-Sep-2015	Fee - Penalty - Annuity - Loan Settlement - Fee Charged	USD22.40		62.67	250.00
884911	To: 002-042384, From: 002-042382					
901536	02-Nov-2015	Loan Settlement - Interest Charged	33.90	0.00	96.57	250.00
901536	02-Nov-2015	Fee - Penalty - Annuity - Loan Settlement - Fee Charged	USD24.64		96.57	250.00
901536	To: 002-042384, From: 002-042382					
915920	30-Nov-2015	Loan Settlement - Interest Charged	28.77	0.00	125.34	250.00
915920	30-Nov-2015	Fee - Penalty - Annuity - Loan Settlement - Fee Charged	USD20.90		125.34	250.00
915920	To: 002-042384, From: 002-042382					
	09-Dec-2015	Uncharged Interest			134.59	

USD	134.59	250.00
-----	--------	--------

Interest Paid: USD 0.00

End of Statement



სასაზღვრო პასპორტი / PLACE OF BIRTH
 თბილისი
 TBILISI
 გამოსვლის თარიღი / DATE OF ISSUE
 13.02.2014
 გამომცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
 იუსტიციის სამინისტრო
 MINISTRY OF JUSTICE
 საპასუხო კოდი: 00000000000000000000 MB-DS 0213
 სერიალური ნომერი: 00-0184

IDGEO13ID52752801901121211<<<<
 9204166M2402136GEO<<<<<<<<<<<<<7
 ALKHAZOVI<<EDUARD<<<<<<<<<<<<<

Georgia
 საქართველო

სახელი / FIRST NAME
 ედუარდ
 EDUARD
 გვარი / LAST NAME
 ალკაზოვი
 ALKHAZOVI
 სქიმა / CIT. სქიმა / SEX. პასპორტის ნომერი / PERSONAL NO.
 GEO 88/M 01901121211
 დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH. მოქმედების ვადის
 16.04.1992. თარიღი / EXPIRY
 13.02.2024
 საპასუხო ნომერი / CARD No.
 131052752
 ხელმოწერა / SIGNATURE



Beka Shakulashvili <beka.shakulashvili@swisscapital.ge>

Fwd: წერილი ედუარდ ალხაზოვი

1 message

Swiss Capital <swisscapital@swisscapital.ge>

Wed, Dec 9, 2015 at 3:55 PM

To: Beka Shakulashvili <beka.shakulashvili@swisscapital.ge>

----- Forwarded message -----

From: **Swiss Capital** <swisscapital@swisscapital.ge>

Date: 2015-09-07 13:16 GMT+04:00

Subject: წერილი ედუარდ ალხაზოვი

To: alxazovi92.edvard@list.ru

7 სექტემბერი 2015 წ

მსესხებელ: ედუარდ ალხაზოვი

მის: ქ. თბილისი, მახალდიანის #1

ქალბატონო/ბატონო ედუარდ,

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“ მოგმართავთ საბოლოო მოთხოვნით, რომ დაუყოვნებლივ გადაიხადოთ სამომხმარებლო სესხის მიმდინარე დავალიანება და გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული დავალიანება იზრდება ყოველდღიურად.

აქვე შეგახსენებთ, გამსესხებლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას თქვენს მიერ ვალდებულებ(ებ)ის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში:

გამსესხებელი უფლებამოსილია, ხელშეკრულების შესაბამისად და ოდენობით დაგარიცხოს პირგასამტეხლო განსაზღვრული წესითა და ოდენობით.

სესხის გარკვეულ ვადაში, არ გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მე-12 მუხლის თანახმად, კომპანია გადასცემს თქვენს მონაცემებს „კრედიტ ინფო საქართველოს“.

გთხოვთ, დაფაროთ არსებული დავალიანება არაუგვიანეს მიმდინარე წლის 11 სექტემბრისა, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია მიმართავს ღონისძიებებს იძულებითი აღსრულების განსახორციელებლად.

12/10/2015

JSC "Swiss Capital MFO" Mail - Fwd: წერილი ედუარდ აღმაზრდელი

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: 2 300 300.

პატივისცემით,

სს „მისო სვის კაპიტალი“

—

Swiss Capital MFO

34 Pekini Ave. | 0160 | Tbilisi | Georgia
Tel: +995 322 300300
www.swisscapital.ge

—

Swiss Capital MFO

34 Pekini Ave. | 0160 | Tbilisi | Georgia
Tel: +995 322 300300
www.swisscapital.ge

საგადახდო დავალება
Payment Order

1450105481
თარიღი / Date 14/12/2015

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

გადამხდელი / Sender

სს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ, 205274273 - 205274273	
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account	GE08TB7630836020100003
გადამხდელის ბანკი / Sender's Bank	ბანკის კოდი / Bank Code
სს. თიბისი ბანკი	TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name	სს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ, 205274273
საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code	205274273

მიმღები / Receiver

შპს საარბიტრაჟო სასამართლო	
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code	GE69TB7088836020100009
მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury	ბანკის კოდი / Bank Code
სს. თიბისი ბანკი	TBCBGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

საარბიტრაჟო მოსაკრებელი ედუარდ ალბაზოვის საქმეზე
--

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

--

ხელმოწერები

Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს. "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

რეფერენსი / Ref. Num.

1276632678

თანხა / Amount

180.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი

ბანკში საგადახდო დავალების
მიღების/წარდგენის თარიღი
Document
submission/receiving date

14/12/2015

ხელმოწერა

Signature



PRINTED VIA INTERNET BANKING

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი
შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“

ს.პ. 400120622, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 69.
ტელ.: 2 140239, მობ.: 593 39 11 40.
www.arbitraji.gweb.ge; E-mail: k.labatadze@mail.ru



STANDING ARBITRATION
"COURT OF ARBITRATION" LTD

ID.CODE 400120622. 69 Agmashenebeli Ave, Tbilisi
Tel.: +995 32 2 140239; Mob.: +995 593 39 11 40
www.arbitraji.gweb.ge; E-mail: k.labatadze@mail.ru

ქ. თბილისი

14 დეკემბერი 2015 წელი

განკარგულება №715-2015

(არბიტრის დანიშვნის შესახებ)

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“ დებულების საფუძველზე, სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“-სა და ედუარდი ალხაზოეს შორის 2015 წლის 31 ივლისს დადებული №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სესხის თანხის გადახდის დაკისრების შესახებ საქმეზე განცხადების განმხილველ არბიტრად დაინიშნოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს არბიტრი ქეთევან ტაბატაძე.

მხარეებს განემარტოთ, რომ მათ უფლება აქვთ:
„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ხელშეკრულების თანახმად, აცილებდნენ მისცენ დანიშნულ არბიტრს, რის შესახებაც ამ განკარგულების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში, უნდა წარმოადგინონ დასაბუთებული წერილობითი განცხადება.

განკარგულების თითო ასლი გადაეგზავნოთ მხარეებს.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი
შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს
თავჯდომარე

ქ. ცაბუაძე



ქეთევან ტაბატაძე

დეკლარაცია

ქ. თბილისი

14 დეკემბერი 2015 წელი

მე, ქეთევან ტაბატაძე (პირადი №56001002556, პროფესია – იურისტი)

თანახმა ვარ დავინიშნო არბიტრად სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“-სა და ედუარდი აღმაშოვის შორის 2015 წლის 31 ივლისს დადებული №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სესხის თანხის გადახდის დაკისრების შესახებ საქმეზე.


დავის საგანი – სესხის თანხის გადახდის დაკისრება

პროფესიული გამოცდილება:

- 2004-2005 წწ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ადვოკატი.
- 2004-2006 წწ საქართველოს ბიზნესისა და მარკეტინგის დამოუკიდებელი ინსტიტუტი – ვკითხულობდი ლექციებს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში.
- 2005-2006 წწ შპს „წმინდა გიორგი“ - იურისტი
- 2006-2009 წწ შპს „№5 მოზრდილთა და ბავშვთა პოლიკლინიკა“ – იურისტი
- 2006წ დღემდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი – ადვოკატი
- 2009 წლის 16 აპრილიდან შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს თავჯდომარე.

ვადასტურებ, რომ აღნიშნულ საქმეზე ჩემთვის არ არის ცნობილი არცერთი გარემოება რომელიც ეჭვს გამოიწვევს ჩემს მიუკერძოებლობაში და გახდება აცილებისა და გადაყენების საფუძველი. გამომდინარე „არბიტრაჟის შესახებ“, საქართველოს კანონისა და არბიტრაჟის დებულებისა დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ, საარბიტრაჟო განხილვის დასრულებამდე, ამგვარ გარემოებათა წარმოშობის შემთხვევაში, ვიღებ ვალდებულებას ასეთი ინფორმაცია ცნობილი და ხელმისაწვდომი გაეხადო მხარეებისათვის.

ქეთევან ტაბატაძე



მუდმივმოქმედი არბიტრაჟი
შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“

ს.პ. 400120622, თბილისი, ღ.აღმაშენებლის გზა, 69.
ტელ.: 2 140239, მობ.: 593 39 11 40.
www.arbitraji.gweb.ge; E-mail: k.labatadze@mail.ru



STANDING ARBITRATION
"COURT OF ARBITRATION" LTD

ID.CODE 400120622, 69 Agmashenebeli Ave, Tbilisi
Tel.: +995 32 2 140239; Mob.: +995 593 39 11 40
www.arbitraji.gweb.ge; E-mail: k.labatadze@mail.ru

ქ. თბილისი

14 დეკემბერი 2015 წელი

განკარგულება №715-2015
(საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ)

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებისა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოვცემ განკარგულებას საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ:

1. მიღებულ იქნას წარმოებაში მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხე ედუარდი ალხაზოვის მიმართ 2015 წლის 31 ივლისს დადებული №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხების გადახდევინების დაკისრების შესახებ.
2. აღიძრას საარბიტრაჟო საქმე №715-2015 მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს საარბიტრაჟო სარჩელისა გამო.
3. საქმის განხილვა მოხდეს ზეპირი მოსმენით
4. დაიწყოს მოცემული საქმის მომზადება საარბიტრაჟო სხდომაზე განსახილველად. მოპასუხეს გაეგზავნოს საარბიტრაჟო სარჩელი და თანდართული დოკუმენტების ასლები.
5. მოპასუხეს განესაზღვროს გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადა შესაგებლის წარმოსადგენად.
6. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად. ხოლო საარბიტრაჟო სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში არბიტრს გამოაქვს გადაწყვეტილება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.
7. განკარგულების თითო ასლი გადაეგზავნოს მხარეებს.

საფუძველი:

- ა) ხელშეკრულება
- ბ) საარბიტრაჟო სარჩელი
- გ) საარბიტრაჟო შეთანხმება

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი
შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს
არბიტრი

Handwritten signature



ქვემოთ ხელმოწერა

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი
შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“

ს.პ. 400120622, მთაწმინდა რაიონის მ. აგმაშenebeli ქ. 69,
ტელ.: 2 140239, მფლ.: 593 39 11 40,
www.arbitraji.gweb.ge; E-mail: k.tabatadze@mail.ru



STANDING ARBITRATION
"COURT OF ARBITRATION" LTD

ID.CODE 400120622, 69 Agmashenebeli Ave, Tbilisi
Tel.: +995 32 2 140239; Mob.: +995 593 39 11 40
www.arbitraji.gweb.ge; E-mail: k.tabatadze@mail.ru

საარბიტრაჟო გზავნილი საქმე №715-2015

თბილისი

14 დეკემბერი 2015 წელი

მომხსენებელი: ედუარდი აღმაშenebeli

მცხ: თბილისი, გ. მახალაძის ქ. №1

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულების შესაბამისად, გეგზავნებათ მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს საარბიტრაჟო სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, 2015 წლის 31 ივლისს გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სესხის თანხის გადახდის დაკისრების შესახებ საქმეზე.

გზავნილის მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებიდან, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ არბიტრაჟის ვებ გეგბრდზე: www.arbitraji.gweb.ge.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში) მითითებული უნდა იყოს:

- ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს
- თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ.
- რა საპროცესო საშუალებებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას.
- რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო განხილვაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს.
- ხომ არ გაგაჩნიათ რაიმე სახის შუამდგომლობები.

დანართი: საარბიტრაჟო სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად;
განკარგულება საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ;
განკარგულება არბიტრის დანიშვნის შესახებ; დეკლარაცია;
საარბიტრაჟო უწყება;

არბიტრი

ქ. თაბატაძე



მისამართი: თბილისი, გ. მახალაძის ქ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი
შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“

ს.პ. 400120622. თბილისი, ჭავჭავაძის ბაზრ. 69.
ტელ.: 2 140239, მობ.: 593 39 11 40.
www.arbitraj.ge; E-mail: k.labladze@mail.ru



STANDING ARBITRATION
"COURT OF ARBITRATION" LTD

ID.CODE 400120622. 69 Agmashenebeli Ave, Tbilisi
Tel.: +995 32 2 140239; Mob.: +995 593 39 11 40
www.arbitraj.ge; E-mail: k.labladze@mail.ru

საარბიტრაჟო უწყება

ქ. თბილისი

14 დეკემბერი 2015 წელი

ბარდება ადრესატს №715-2015 საქმეზე


მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“ თქვენ, ედუარდი ალხაზოვს მოპასუხის სახით გიბარებთ 2015 წლის 29 დეკემბერს 10:40 საათზე დანიშნულ საარბიტრაჟო განხილვაზე, მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს საარბიტრაჟო სარჩელის გამო, მოპასუხე ედუარდი ალხაზოვის მიმართ 2015 წლის 31 ივლისს დადებული №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სესხის თანხის გადახდის დაკისრების შესახებ სამოქალაქო საქმეზე.

საარბიტრაჟო განხილვა გაიმართება მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, სართული 2, ბინა 11.

მხარე ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

ადრესატის მისამართზე არ ყოფნისას, უწყების მიმღები პირი ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს.

მხარეები და მათი წარმომადგენლები, მოვალენი არიან აცნობონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი შეტყობინების უქონლობისას, უწყება გაიგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.



არბიტრი

Handwritten signature of the arbitrator.

ქეთევან ტაბატაძე


საქართველოს
ფოსტა



ფორმა № 119

“საქართველოს ფოსტა”

საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტური



გზავნილის № 010046563433

CER000018176

გამგზავნის ვინაობა / მისამართი

ადრესატის ვინაობა

ადრესატის მისამართი

ჩაიბარა უშუალოდ ადრესატმა ☐

ჩაიბარა სხვა პირმა ☐

პირის სახელი და გვარი:

კავშირი ადრესატთან:

პირადი ნომერი №

35 901 / 3 436 J

ხელმოწერა და თარიღი

16.12.15

გზავნილის ჩაუბარებლობის მიზეზი

არასრული მისამართი ☐

არავინ დაშვდა მისამართზე ☐

მიმღებმა უარი განაცხადა ჩაბარებაზე ☐

ადრესატი ვერ მოიძებნა ☐

არასწორი მისამართი ☐


ადრესატმა უარი განაცხადა ჩაბარებაზე ☐

ადრესატი არ იმყოფება მისამართზე ☐

ადრესატის მონაცემები არასწორია ☐

ჩაუბარებლობის
სხვა მიზეზი

შენიშვნა



გზავნილის ადგილი

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



გზავნილის ადგილი

აქტი

ტელეფონით საარბიტრაჟო შეტყობინების შესახებ
(საქმე №715-2015)

22 დეკემბერი 2015 წელი

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“

აღნიშნული აქტი შევადგინე არბიტრმა ქეთევან ტაბატაძემ, მასზედ რომ საარბიტრაჟო შეტყობინების მიზნით ვცადე დავკავშირებოდი მოსარჩელე სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს წარმომადგენელს ბექა შაყულაშვილს მითითებულ ნომერზე: 577978801

კავშირი შედგა, რის შემდეგაც მივიღე დასტური რომ ვესაუბრებოდი ბექა შაყულაშვილს.

მას შევატყობინე საარბიტრაჟო უწყების შინაარსი.

საარბიტრაჟო განხილვის დრო: 29.12.2015წ. 10:40 სთ.

საარბიტრაჟო განხილვის ჩატარების ადგილი:


ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. 2, ბინა 11.

საუბრის დაწყების დრო: 10:52 სთ. დასრულების დრო: 10:58 სთ.

ვადასტურებ

არბიტრი

ქეთევან ტაბატაძე



საარბიტრაჟო განხილვის ოქმი

თბილისი

29 დეკემბერი 2015 წელი

შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე
მდივანი: თამარ თედიაშვილი

მოსარჩელე: სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სეის კაპიტალი“

მოპასუხე: ედუარდ აღხაზოვი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

განხილვა დაიწყო: 10 სთ და 55 წთ; დამთავრდა: 11 სთ და 05 წთ.

სსკ 210-ე მუხლის შესაბამისად არბიტრმა გახსნა სხდომა და გამოაცხადა, რომ განიხილება სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სეის კაპიტალი“-ს საარბიტრაჟო სარჩელი სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სესხის თანხის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნით მოპასუხის ედუარდ აღხაზოვის მიმართ.

მდივანმა მოახსენა რომ განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან გამოცხადდა: მოსარჩელის წარმომადგენელი, ბექა შაყულაშვილი.

მოპასუხე მხარე, რომლისთვისაც ცნობილი იყო საარბიტრაჟო განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, არ გამოცხადდა. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი ცნობილი არ არის.

თავჯდომარემ გამოაცხადა არბიტრაჟის შემადგენლობა, რომ საქმეს განიხილავს არბიტრი ქეთევან ტაბატაძე, თამარ თედიაშვილის მდივნობით და განმარტა აცილების უფლება.

მხარეს არბიტრისა და მდივნის მიმართ აცილება არ გამოუთქვამს.

არბიტრმა მოახსენა დავის არსი და ეკითხება მხარეს ხომ არ გააჩნია რაიმე შუამდგომლობა საქმეთან დაკავშირებით.

მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა მოპასუხე მხარის დასწრების გარეშე საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

შუამდგომლობა ადგილზე თათბირით დაკმაყოფილდა.

სიტყვა ახსნა-განმარტებისათვის ეძლევა მოსარჩელე მხარეს, რომელმაც მხარი დაუჭირა თავის მოთხოვნას და ითხოვა მისი დაკმაყოფილება.

მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე მტკიცებულებები ჩაითვალა გამოკვლეულად.

მხარეს რეკლამის უფლებით არ უსარგებლია.

არბიტრმა ადგილზე თათბირის შემდეგ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზულუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12, მუხლით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ი, მე-8-ე, 24-ე, 39-ე მუხლებით, შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებით

დ ა გ ა დ გ ი ნ ე უ

1. სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდეს სრულად;
2. მოპასუხე ედუარდ აღმაზოვს (პირადი №01901121211) მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს სესხის ძირი თანხის – 250 აშშ დოლარის, მიუღებელი სარგებლის – 134.59 აშშ დოლარის, პირგასამტეხლოს – 74.66 აშშ დოლარის, ჯამში – 459.25 აშშ დოლარის გადახდა;
3. მოპასუხე ედუარდ აღმაზოვს მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს სესხზე დარიცხული ყოველდღიური სარგებლის – 1.01 აშშ დოლარის გადახდა 2015 წლის 10 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;
4. მოპასუხე ედუარდ აღმაზოვს მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს ყოველდღიურად დასარიცხი პირგასამტეხლოს – 0.75 აშშ დოლარის გადახდა 2015 წლის 10 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;
5. მოპასუხე ედუარდ აღმაზოვს მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 180 ლარის გადახდა.
6. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

საარბიტრაჟო განხილვა დახურულად გამოცხადდა.

არბიტრი

ქ. თაბატაძე

ქეთევან ტაბატაძე

მდივანი

თ. თედიაშვილი

თამარ თედიაშვილი

**მუდმივმოქმედი არბიტრაჟი
შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“**

ს.კ. 400120622, თბილისი, დ.აღმაშენებლის გზაზე, 69,
ტელ.: 2 140239, მობ.: 593 39 11 40,
www.arbitraji.gweb.ge; E-mail: k.labatadze@mail.ru



**STANDING ARBITRATION
"COURT OF ARBITRATION" LTD**

ID.CODE 400120622, 69 Agmashenebeli Ave, Tbilisi
Tel.: +995 32 2 140239; Mob.: +995 593 39 11 40
www.arbitraji.gweb.ge; E-mail: k.labatadze@mail.ru

საქმე №715-2015

გადაწყვეტილება

შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს სახელით

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2015 წელი

შესავალი ნაწილი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე
მდივანი თამარ თედიაშვილი

საარბიტრაჟო მოსარჩელე: სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
წარმომადგენელი: ბექა შაყულაშვილი

საარბიტრაჟო მოპასუხე: ედუარდ აღხაზოვი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალსა“ და ედუარდ აღხაზოვს შორის 2015 წლის 31 ივლისს დადებული №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის თანხის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 31 ივლისს ერთი მხრივ, სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“-სა და მეორეს მხრივ, ედუარდ ალხაზოვს შორის გაფორმდა №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალმა“ მსესხებელზე გასცა 250 აშშ დოლარის ოდენობით სესხი. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

სესხი სარგებლიანია. ყოველთვიურად გადასახდელი საპროცენტო სარგებლისა და ძირითადი თანხის ოდენობა შეადგენს 61.92 აშშ დოლარს.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დააგვიანებს ან არ გადაიხდის სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში სესხის ძირითად თანხას და/ან დარიცხულ პროცენტს გამსესხებელი უფლებამოსილია დაარიცხოს პირგასამტეხლო სესხის დარჩენილი ძირი თანხის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

საარბიტრაჟო მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე მხარეზე მის სასარგებლოდ სესხის ძირი თანხის, მიურებული სარგებლის, პირგასამტეხლოსა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დაკისრება.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხე მხარის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში უცნობია. მას საარბიტრაჟო შესაგებელი არ წარმოუდგენია და არც საარბიტრაჟო განხილვაზე გამოცხადებულა.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. 2015 წლის 31 ივლისს ერთი მხრივ, სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“-სა და მეორეს მხრივ, ედუარდ ალხაზოვს შორის გაფორმდა №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ედუარდ ალხაზოვმა სესხის სახით მიიღო 250 აშშ დოლარი. სესხის თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

(მტკიცებულება: სესხის ხელშეკრულება)

3.1.2. №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულების თანახმად სესხი სარგებლიანია. ყოველთვიურად გადასახდელი საპროცენტო სარგებლისა და ძირითადი თანხის ოდენობა შეადგენს 61.92 აშშ დოლარს. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედებისა, ან სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა, სესხისა ან/და სარგებლის იძულებითი ან მსესხებლის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე.

(მტკიცებულება: სესხის ხელშეკრულება)

3.1.3. №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, ისეთ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დააგვიანებს ან არ გადაიხდის სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში სესხის ძირითად თანხას და/ან დარიცხულ პროცენტს გამსესხებელი უფლებამოსილია დაარიცხოს პირგასამტეხლო სესხის დარჩენილი ძირი თანხის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით

ნაკისრი და გადახდის გრაფიკით დადგენილი გადასახდელების გადახდის ვალდებულებისაგან. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 10 (ათი) დღის ვადით გადააცილებს ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის რომელიმე ეტაპის შესრულებას გამსესხებელი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

(მტკიცებულება: სესხის ხელშეკრულება)

3.1.3. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, სადაო საკითხი განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს, რომლის საინდენტიფიკაციო კოდია 400120622.

(მტკიცებულება: სესხის ხელშეკრულება)

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე არცერთი ფაქტობრივი გარემოება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი დასკვნა

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების საფუძველზე არბიტრს მიაჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს სრულად.

5. კანონები რომლითაც არბიტრაჟმა იხელმძღვანელა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 316-ე, 319-ე, მუხლის I ნაწილი, 361-ე, 417-ე, 623-ე, 625-ე, 976-ე მუხლის I ნაწილი, 979-981-ე მუხლი. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულება.

6. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის მიხედვით, სესხის ხელშეკრულებით, გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვარულ ნივთს, მხოლოდ მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელიც წარმოშობს გამსესხებლისათვის

მხოლოდ უფლებას – ვალის დაბრუნების მოთხოვნის შესახებ და მსესხებლისათვის მხოლოდ მოვალეობას – ფულის ან სხვა ნივთის დაბრუნების შესახებ. სესხის ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დაიდოს წერილობითი ფორმითაც.

აღაგოა, რომ 2015 წლის 31 ივლისს ერთის მხრივ, სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“-სა და მეორეს მხრივ, ედუარდ ალხაზოვს შორის გაფორმდა №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ედუარდ ალხაზოვმა სესხის სახით მიიღო 250 აშშ დოლარი. სესხის თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის თანახმად, სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტი. ამავე კოდექსის 403-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მოვალე, რომელიც გადააცილებს ფულადი თანხის გადახდა, ვალდებულია გადაიხადოს მხარეთა მიერ შეთანხმებით დადგენილი პროცენტი.

უდაგოა, რომ მხარეთა მიერ 2015 წლის 31 ივლისს დადებული სესხის ხელშეკრულების თანახმად სესხი სარგებლიანია. ეოველთვიურად გადასახდელი საპროცენტო სარგებლისა და ძირითადი თანხის ოდენობა შეადგენს 61.92 აშშ დოლარს. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედებისა, ან სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა, სესხისა ან/და სარგებლის იძულებითი ან მსესხებლის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. საქმეში წარმოდგენილი მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ №CONS/P/235 სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებები მოვალის მიერ არ შესრულებულა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა, ან შეწყდა შემდგომში“. ფრაზაში – „რაიმე გადასცა“ იგარაუდება ერთი მხარის ხარჯზე მეორის გამდიდრება. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გადაცემულია ფული, რომელიც დღეის მდგომარეობით ამ უკანასკნელის სარგებლობაშია ეოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც განაპირობებს მის უსაფუძვლოდ გამდიდრებას. მოსარჩელე წარმოადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, რომელიც დაკავებულია საკრედიტო საქმიანობით და ფული მისთვის წარმოადგენს შემოსავლის პირდაპირ წყაროს, რომელიც მიიღება გასესხებულ თანხაზე პროცენტის (სარგებელი ფულით სარგებლობისათვის) დარიცხვით. მოცემულ შემთხვევაში ცალსახაა, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში ამ უკანასკნელისაგან დაბრუნებული ფულადი სახსრებით მოსარჩელეს მიეცემოდა საშუალება მიეღო დამატებითი სარგებელი, რასაც ვერ იღებს ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად. ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ მოსარჩელის საბრუნავი საშუალებები – ფული, შემცირებულია იმ თანხის პროპორციულად, რომელიც არ იმყოფება მის პირდაპირ მფლობელობაში მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევის შედეგად. უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენილი ქონების ამოღება, რითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის

აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე.

ამდენად, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის პროცენტის დარიცხვის მოთხოვნის იურიდიული საფუძვლების მართებულობის სრულყოფილად შეფასებისათვის არბიტრაჟს აუცილებლად მიაჩნია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე – 980-ე, 981-ე მუხლთან ურთიერთმიმართებისათვის სამართლებრივი შეფასების მიცემა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო - მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯერონად შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად გასაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს.

უდავოა, რომ 2015 წლის 31 ივლისს სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სეის კაპიტალ“-სა და ედუარდ ალხაზოვს შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულების თანახმად მხარეები შეთანხმდნენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაზე.

ამდენად, მოპასუხის მიერ დადგენილ იქნა №CONS/P/235 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რაც წარმოადგენს საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

7. საპროცესო ხარჯები

7.1. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ან გადასახდელი საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდას, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არბიტრი აკისრებს მეორე მხარეს, მხოლოდ მოგებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ გადახდილია 180 ლარის ოდენობით საარბიტრაჟო მოსაკრებელი, რომლის გადახდაც უნდა დაეკისროს მოპასუხე მხარეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვისებამდგენელე რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12, მუხლით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ი, მე-8-ე, 24-ე, 39-ე მუხლებით, შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებით

დ ა გ ა დ გ ი ნ ე

1. სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდეს სრულად;
2. მოპასუხე ედუარდ ალხაზოვს (პირადი №01901121211) მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს სესხის ძირი თანხის – 250 აშშ დოლარის, მიუღებელი სარგებლის – 134.59 აშშ დოლარის, პირგასამტეხლოს – 74.66 აშშ დოლარის, ჯამში – 459.25 აშშ დოლარის გადახდა;
3. მოპასუხე ედუარდ ალხაზოვს მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს სესხზე დარიცხული ყოველდღიური სარგებლის – 1.01 აშშ დოლარის გადახდა 2015 წლის 10 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;
4. მოპასუხე ედუარდ ალხაზოვს მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს ყოველდღიურად დასარიცხი პირგასამტეხლოს – 0.75 აშშ დოლარის გადახდა 2015 წლის 10 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;
5. მოპასუხე ედუარდ ალხაზოვს მოსარჩელის სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“-ს სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 180 ლარის გადახდა.
6. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

არბიტრი



ქეთევან ტაბატაძე